


1  
1950

გამომცემლობა „კომუნისტი“  
წელი XXVII. ფხი 2 მან.

165  
25/11



### მშვიდობის მზარეობი

ნახ. გ. ლომიძის

გვახსოვს რომ ერთ დროს ტროადელებმა  
ხის ცხენს გაუღეს ქადაგის კარი.

ახლა კი მტრების ფრთებს ეფარება  
მშვიდობის მტერი და მოსისხარი.

საბჭოთავი





კოლორადოს ხოჭოები

ეუბნება ხოჭოს ხოჭო **ქარქინძე** **ლი**  
ძირს დავეშვათ ორ-ორადო, **ლიქინძე**  
ჩვენი გვარი გავამრავლოთ,  
ვასახელოთ კოლორადო!

ევროპას რომ შევესევით  
უნდა ვიყოთ უფრო ფრთხიდი,  
ვინემ გეგმა მარშალისა,  
ვინემ შავი ჭირის რწყიდი!

სირცხვილია რომ დავმარცხეთ,  
რომ ჩვენც შუბლზე ხელი ვირტყათ,—  
ახლა ხოჭოდ გავგაჩინეს,  
განა ხიროხიტოს ვირთხად!

უოლ-სტრიტი კოლორადოს  
ხოჭოზეა დანდობიდი,—  
რომ ჩვენს შემდეგ გაასალოს  
იქ თავისი კარტოფიდი!..

ეუბნება ხოჭო ხოჭო,  
ვით მეზობლს და ვით პატრიოტს:  
თავისუფალ გერმანიის  
ცოცხლად შეჭმას ვინატრიო!

გოგოთუა მიგაიაული

ნახ. ა. კანელიაქისა

ს ა ს ნ რ ა უ ო

არხის მშენებლობაზე იყო ინჟინერი ილია მარუაშვილი, როცა აცნობეს, რომ ხვალ დილით რაიონის ცენტრში უნდა გამოცხადდეს სასწრაფო საქმის გამო.

— რაღა ხვალ! — უკმაყოფილოდ გაიფიქრა. — ვიცოდე მაინც რაზე მიბარებენ!

სწორედ ხვალ იწყებდა მეტად საპასუხისმგებლო უბანზე მუშაობას და სწორედ ამ დროს იძულებული ხდებოდა ხელი აეშვა და რაიონში წასულიყო.

მეორე დღეს, ინათლა თუ არა, გაემგზავრა. სანამ უახლოეს სოფელს მიაღწევდა, ყამირი უნდა გაეგლო. მანქანა აქ წელა მიდიოდა, მაგრამ სიფრთხილეს არ შევლიდა, ყოველ ნაბიჯზე ღრანტე და ჯილე ხდებოდა. ყოველთვის, როცა ბორბალი ღრმულში ჩავარდებოდა, ისე აახტუნებდა და დაახეთქებდა ილიას, რომ გაჩენის საათს იწყებდა საბრალო ინჟინერი. სწუხდა. დაღვრემილი გასტკეპროდა ნაწვიმარ მიდამოს.

— არ გაცლიან დამშვიდებულად აკეთო საქმე! — ბრაზობდა იგი. — ნეტავი სერიოზული საქმე მაინც იქნებოდეს, მაშინ მოცდენას არ ინაღვლებს კაცი, მაგრამ თუ ისეე მაშინდელივითაა?

და ილია გულისწყრომით იგონებდა მაშინდელ ამბავს: მაშინაც სასწრაფოდ რაიონში გამოუძახეს! — და რა გამოირკვა? კითხვს რა მდგომარეობაშია მშენებლობა და უკანვე გაისტუმრეს. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

სოფლის დასაწყისში, სადაც პატარა ღელე ეგულბოდა, მანქანა შეეცრად შეჩერდა. აღიდებული ღელე მდინარედ ქცეულიყო და ატალახებულ ზვირთებს მიაგორებდა.

მარუაშვილმა თავი გამოჰყო და იქაურობას თვალი მოავლო: — რაო, ვერ გავალთ?

— რა ვიცი, ვცადოთ...

უპასუხა შოფერმა და მანქანა შეიჭრა მდინარეში, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა გაღმა ნაპირს, შეჩერდა. შეწყდა მოტორის ხმა. ისმოდა მხოლოდ ბორბლებში გახლართული წყლის შხუილი.

— ესეც შენი მგზავრობა! — ამოიოხრა ილიამ. — გავიჩხირეთ? ველარც წინ და ველარც უკან?

შოფერმა, რომელსაც არც სხვა დროს უყვარდა ლაპარაკი, ცალი ყბით წაიბურტყუნა:

— ახლავე მოვალ...

გაიძრო ფეხსაცმელი, გაიარა მდინარე და სოფლისკენ გასწია.

მანქანა და მანქანაში ილია მარუაშვილი მარტო დარჩნენ.

გულზე ხელებდაკრეფილი იჯდა, რატომღაც უმწეოდ გრძობდა თავს. ნაღვლიანად დასჩერებოდა მანქანის გარშემო დატრიალებულ მღვრია ნაკადს და ფიქრით იქ იყო, სადაც დილით კარავში თავისი ამხანაგები დასტოვა.


— გავიხედე და იმისათვის დამიბარეს, რომ გამომიცხადონ: სხვა ახალ სამუშაოზე უნდა გადახვიდეთ? — გაუელვა ილიას.

ასეთი რამ შესაძლებელი იყო და ამის წარმოდგენაზე სახეც კი დაედრიჯა.

რამდენიმე თვე იყო, რაც მარუაშვილი არხის მშენებლობის უფროსად დანიშნეს. წინათ სხვა რაიონში მუშაობდა, იქ ჯერ კიდევ მოთავებული არ ჰქონდა საქმე, როცა ეს არხი ჩააბარეს.

ყოველთვის აპრაზებდა ასეთი მოულოდნელი და უთავბოლო გადასროლა ერთი ადგილიდან მეორეზე...





### ქათმაგის საუბარი:

— უყურეთ ერთი, როგორ იფხორება ეს ჩვენი ინდაური! ახლა ჩვენსკენ გამოხედვასაც აღარ კადრულობს!

— ჩვენს ფერმაში ყველა თათბირი, ყველა მითითება სპეციალურად მაგ ვაჟბატონს შეეხება, მინისტრის მოადგილეს სპეციალურად მასზე სწერს და გაიფხორება, მა რა მოუვა!

### გამოძახება

ისე გრძობდა თავს, თითქოს დაუსრულებელ ლაშქრობაში ყოფილიყო. ერთადერთი, რაც ჯარისკაცისგან ანსხვავებდა, იყო ის, რომ თოფის ნაცვლად დაათრევდა იმერულ ტყლაპივით თხელ ლეიბს, შალის საბანს და ხშირი მგზავრობისგან გაცვეთილ ჩემოდანს.

— პროტესტს განვაცხადებ! — მტკიცედ გადასწყვიტა გუნებაში. — არასგზით არ დავთანხმდები სხვაგან გადაყვანას!

— ხი, მოო! — გამოარკვია შეძახილმა.

ვიღაც კოლმეურნე უღელი ხარით მდინარეს მიადგა.

— სად ჩავაბა? — მოისმა მისი ხმა.

მანქანას წინ ჩააბეს ბაგირი, ყოველ შემთხვევისათვის მუხის ღვლერკი მიაშველეს და პირუტყვს შოლტი დაჰკრეს. ზარმაცად გასწიეს ხარებმა და გავიდნენ მეორე ნაპირზე.

სამშვიდობოში გატანილი მანქანა კიდევ დიდხანს იდგა. რამდენს არ უჩხიკინებდა შოფერი, სიცოცხლის ნიშანს მაინც არ იძლეოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მანქანა აძიგდებდა და ახრი-ალდა.

გამოლმოდან უკეთესი გზა იწყებოდა. შოფერს გულზე მოეშვა და თითქოს მანქანაც გახალისდა. მარდად შეუქცევდა ხოლმე გვერდს წყლით ამოვსებულ ღრმულს და თამამად მიხტოდა, თითქოს თავი მოსწონდა, რომ ასეთი ცქვიტი იყო. კალიას სიმარდე ჰქონდა და მის ფერადაც იყო შეღებილი. მიჰქროდა და კუდივით გამოხნიქილ საკვამლედან ბენზინის ბოლს ხმიანი ტაკანით უშვებდა.

ნაშუადღევი იყო, როცა მანქანა რაიონულ საბჭოს წინ შეჩერდა. დალილმა მარუაშვილმა მძიმედ აიარა ორი სა-რთული და თავმჯდომარის ოთახს მიაშურა.

შეალო თუ არა კარები, იქიდან მომავალი თავმჯდომარე შეეფეთა.

— უხ, მოხვედი? — ხელი ჩაავლო ილიას და გაიყოლია დერეფანში. ეტყობოდა, რომ სადღაც მიიჩქაროდა. — დღეს არ მოხერხდა სხდომა. ზეგ, ამხანაგო ილია, ზეგ უსათუოდ!

— რა იყო, რა სხდომა? — ხმაჩაწყვეტილად იკითხა მარუაშვილმა.

— ცენტრიდანაა ამხანაგი ჩამოსული, რაიონში ახალი მშენებლობის მიმდინარეობას იკვლევს. დღეს აღარ სცალია შენთვის. შენი კირიმე, ზეგ დაუგვიანებლად ამოდი. რა გიკირს, მანქანა გყავს, ერთ წუთში ამოგაფრენს!

გაუღიმა, მხარზე ხელი მოუთათუნა და კიბეს მიაშურა. ჩამობნელებულ დერეფანში მარტო დარჩა ილია. რამდენიმე წუთი გაოგნებული იდგა, მერე ხელი ჩააქნია და გავიდა დერეფნიდან.

— მომკლა ამ უთავბოლო გამოძახებამ! არა, ჩემო ძმაო, ზეგ მე აქ მომსვლელი არა ვარ, მობრძანდით და მუშაობა ადგილზე შეამოწმეთ! — თქვა ილიამ.

მძიმედ ჩაიარა კიბე, გადასჭრა ტროტუარი და შეძვრა მანქანაში. ჩათვლემილმა შოფერმა ვერც შენიშნა მისი დაბრუნება.

მარუაშვილს ენანებოდა დაქანცულ შოფერის გაღვიძება. ერთხანს გასუდრული იჯდა კუთხეში და უაზროდ შესცქეროდა გადმოხურულ ბრეზენტს... სულ ერთი იყო მისთვის რამდენ ხანს იქნებოდა აქ გაჩერებული. არც უქმად დგომა უნდოდა მას და არც გაბრუნება ენატრებოდა. ამ წუთში არაფრის ხალისი აღარ ჰქონდა.

ს. კლდიაშვილი





ორი მეგობრის საუბრის უნებლიე მოწმე გავხდი. ლა პარაკობდნენ ტრამვაიში, ერთის შეხედვით, უბრალო საკითხზე: წყალზე, როგორც ასეთზე. მაგრამ ერთ-ერთი მოსაუბრე მას ეხებოდა, როგორც რთულ პრობლემას.

მივხვდი, ის ვაკის უბნიდან იყო.

— რაღაც დაქანცულს გავხარ, გავხდი კიდევ. რა დაგე-მართა, შე კაი კაცი? — შეეკითხა მას მეგობარი.

— მეხუთე სართულზე განუწყვეტლივ წყალი რომ ზიდო — დაიქანცები, მა რა მოგივა? — კითხვითვე უპასუხა ვაკის უბნელმა და შემდეგ ტრალიკულად გააგრძელა თავისი ამბავი. — გავწყდი ბიჭო, წელში!.. ხომ გაგიგონია „ოჯახი ზღვაო“, დამიშრა ეს ზღვა და ახლა ეზოდან ვეზიდები წყალს, ამ დამშრალი ზღვის ასავსებად...

— დიდი ხანია? — შეეკითხა ისევ პირველი.

— ზამთრის შემდეგ თოვლი დადნა და გზა გაშრა თუ არა, ჩვენს სახლში წყლის დინებაც შეწყდა. დღეში ორი საათით გამოოშვებენ და თანაც ისეთი ნაკადით, რომ ეზოს ონკანს ვერ სცილდება... ჩნდება რიგები, ისმის ქურჭლების ჯახანი და მექურჭლეთა სიტყვაკაზმული ზეპირსიტყვაობა...



წყალი ისე მოვა და ისე წავა თავისთავად, როგორც ეს

ერთ სიმღერაში, სიყვარულზეა ნათქვამი, ხომ გახსოვს:

სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა,

როცა მოვა, მოვა, მოვა, მოვა თავისთავად!

— როგორც მოვა, ისე წავა, წავა თავისთავად! არა? —

დაასრულა ლილინითვე პირველმა და თან დასძინა: — შენ ხომ ახალ სახლში მიიღე ბინა, ვაკეში...

— მერე?

— მერე და ასეთ მშვენიერ სახლში, ასე კარგად მოწ-

ყობილ ბინაში ცხოვრების ზედნიერ ყუთებს წყალკანალოტრესტი გიწამლავთ? მარტო თქვენს სახლში ხდება ასე?

— მარტო ჩვენ რომ ვიყოთ, რა გვიშავდა? მთელი ვაკე ამ მდგომარეობაშია.

— მერე არ მიმართეთ წყალკანალოტრესტს?

— როგორ არა, თუ დრო გაქვს, ვიამბობ რაც იქ გადამხდა.

და დაიწყო მოთხრობა, რომელიც ვაკონში შემოსული „თავუზიანი“ ახალგაზრდების ხმაურში ჩაიძირა, მაგრამ მე მაინც წარმოვიდგინე მოთხრობის შინაარსი. ის მივიდა ტრესტში, იცადა, შემდეგ გაუღეს აღსავლის კარი და მიმართა ერთ-ერთ კომპეტენტურ პირს:

— სალამი და პატივისცემა, ამხანაგო, შეიძლება შეგეკითხოთ?

— ბრძანეთ!

— წყლის საკითხი გვინტერესებს.

— რა თვალსაზრისით?

პაუზისა და მხრების აჩეჩვის შემდეგ:

— რა კითხვაა, პატივცემულო, რა თვალსაზრისით დააინტერესებს ადამიანს წყალი. ცხადია, არა მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების თვალსაზრისით...

— მივიხვდით, დაბრძანდით, — შეაწყვეტინა კომპეტენტურმა პირმა, — მოგახსენებთ: წყალი — ბიოსფეროს მთავარი კომპონენტია. სიცოცხლის ყველა ძირითადი მოვლენა წარმოიშობა ან წყლის გარემოში, ან ხდება მისი მონაწილეობით. წყალი შედის პროტოპლაზმის შემადგენლობაში და თავისი წონით შეადგენს ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმების ქსოვილთა ყველაზე დიდ ნაწილს. ალბათ წაიკითხავდით, ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთში ეწერა ადამიანის ორგანიზმის 60-70 პროცენტს წყალი შეადგენსო.

— თქვენ მართლაც რომ ბრწყინვალედ გცოდნიათ წყლის თეორია. გმადლობთ, მაგრამ ერთი, თქვენი ჭირიმე, ის მიბრძანეთ, სიცოცხლისათვის ეს აუცილებელი კომპონენტი რატომ აკლია ვაკეს?

აქამდე სახეგაბრწყინებელი კომპეტენტური მოსაუბრე ერთბაშად მოიღრუბლა და განრისხებულმა შესძახა:

— შე სერიოზული კაცი მეგონეთ, თქვენ კი აქ სახუმაროდ და საინტრიგანოდ მოსულხართ? გთხოვთ დასტოვოთ ტრესტის ტერიტორია! — და კარებისკენ მიმითითა.

რა მეთქმოდა, ხომ არ შევედავებოდი?

უნდა გამოგიტყდეთ: ეს ბოლო საუბარი ნამდვილად არ მომხდარა, იგი მე მხოლოდ წარმოვიდგინე, და იმდენად ახლო მეგონია სინამდვილესთან, რომ შესაძლოა მოხდა კიდევ, ან მოხდეს. მთავარი ეს როდია, მთავარი, ამ ზაფხულის პაპანებაში უწყლოდ და უმოწყალოდ მიტოვებულ მწყურვალთა ძახილია!..







ტრესტის დირექტორი თედო სანებლიძე და მისი ცოლი ანგელინა უშვილონი არიან. ალაჰმა უწყის, ის მაღალი და ზორბა, საქმის ერთგული, კვიანი კაცი—თედო არის უშვილო, თუ უსაქმობით ჩასუქებული მისი მეუღლე — ანგელინა!

ცოლ-ქმარი მდიდრად ცხოვრობს. თედოს კარგი ბინა აქვს: მზარეული და დამლაგებელი ქალი ჰყავს, საკუთარი მანქანა. ასე რომ ანგელინას ოჯახში საქმე არა აქვს და დრო როგორ მოჰკლას არ იცის.

კვირაში ერთხელ გაემგზავრება ქალაქში და მაღაზიების ნაცნობ გაამგებს-ესტუმრება. მხოლოდ სადილობის დროს თუ დაბრუნდება სახლიდან დილით წასული ქალი საწყობებში შეძენილი საქონლით და ნივთებით. მაშინ უნდა ნახოთ მისი შავტუხა შოფრის ჯანოს მარიფათი. მართლაც ჯანიანი უნდა იყოს კაცი, ჯერ ტომრები და ვეება პარკები რომ აიტანოს მესამე სართულზე, მერე კი მათზე დიდი, შეიდფუთიანი ქალი ჩამოიღოს მანქანიდან, მხარში შეუდგეს და მაღალ კიბეზე ნელა, ტატიით და უხიფათოდ აიყვანოს.

შინ მისული, ნაშრომ-ნაჯაფი ანგელინა კანში ვერ მტევა. სავარძელში ზის, ოხრავს და ქშენს. კარგი პატივით ჩასუქებულ ქალს გულის სიგანიერე სჭირს. წინათ კი, სანამ ზაფხულის ცხელი დღეები დაიწყებოდა, ანგელინა უფრო ხშირად გადიოდა ქალაქში. ხანდახან კინოში, თეატრში ან ნაცნობ-მეგობართა წვეულებაზეც მივიდოდა, რათა ცნობილი მკერავის მიერ მის გოდორა ტანზე საგანგებოდ შეკერილი ტანისამოსი ეჩვენებინა საზოგადოებისათვის და მოდით მოეხიბლა იგი...

ჩვენი უბედურებაც სწორედ ერთ-ერთ ასეთ წვეულების დროს ჩაისახა, სწორედ მაშინ, როდესაც ანგელინამ დამსწრეთა მოსახიბლად ყელი მოიღერა და თავისი ცივი ხმით სიმღერა წამოიწყო, როცა შეზარხოშებულმა სიმღერის პროფესორმა სმენა და ხმა შეუქო და შეაცდინა. ამ დღიდან ანგელინა მომღერალ ქალად გახდომის სენმა შეიპყრო. რა თქმა უნდა, პროფესორი წინდახედული კაცი აღმოჩნდა: ახლაც შინ დაუდის და სიმღერის გაკვეთილებს აძლევს. გულ-

ცივ მასწავლებელს არც საბრალო თედო და არც თედოს მეზობლები ვეცოდები.

შემოდგომისა და ზამთარში, სანამ ფანჯრები ჩაკეტილია, ანგელინას ახლო მეზობლები ვიტანჯებით, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა ფანჯრები გახსნილია, ჩვენი ოთხსართულიანი დიდი სახლის ყველა მობინადრე თავის გაჩენის დღეს სწყევლის.

აი, ახლაც ზაფხულია, შილიფად ჩაცმული, სიცხისგან გაოგნებული, უშვილო და უსაქმო ქალი, სამსახურიდან ქმრის დაბრუნების მოლოდინში, დღენიადავ, დილიდან საღამომდე და ნასადილევს, წაძინების შემდეგაც, როიალზე გამებს სწავლობს და პროფესორის მიერ სიმღერაში მიცემულ გაკვეთილს ამზადებს. გამეტებით და დაჟინებით სცემს მსუქან თითებს კლავიშებს, გულისგამწყალებელ ერთსა და იმავე გამებს უკრავს, ვეება ხახას ალებს, საზარელ, ცივ და უსიამო ხმას გამოსცემს და არა მარტო ამ სახლის მობინადრეებს, — მთელ ქუჩას აყრუებს. რაგინდ სალი აზრი არ უნდა ესახებოდეს მაშინ კაცს, იგი ჩასახვისთანავე კვდება. პროფესორი, ექიმი, ინჟინერი, მხატვარი თუ მწერალი, — ყველა თავს ანებებს მუშაობას და ამბობს: „იმ კაცის სახლ-კარი დაიქცეს, ვინც იმ ქალს ხმა შეუქო და სიმღერის შესწავლა ურჩიაო“.

ყველას ზაფხულის იმედი გვაქვს, იქნებ პაპანაქებამ მომღერალი ქალი თბილისიდან მთის აგარაკზე ან ზღვისკენ გააქციოს. ამაოდ. იმედი გვიცრუვდება. აგარაკიდან ანგელინა ძალაშემატებული ბრუნდება ქალაქში და გვიანი შემოდგომის და ზამთრის გრძელ ღამეებში როიალზე მეცადინეობას, შეწყვეტილი სიმღერის სწავლას მეტის მონდომებით განაგრძობს, გამებსა და მივიწყებულ ვარჯიშობებს თავიდან იწყებს, კოტიტა მსუქან თითებს კლავიშებს უფრო მაგრა და გამეტებით სცემს, ყურებამდე ახეულ ხახას ნიანგივით ალებს, და ის ურჯულო „მეცო-სოპრანო“ ისეთ უხამს „სი-ბემოლს“ სტეკორცნის და მანამდე კივის, სანამ მისი მტკვარში გადავდების სურვილი არ დაგვებადება.

საბრალო თედო სანებლიძე: იქნებ თავისი მომღერალი ცოლის გამო გაურბის სახლს, ათასგვარ სხდომებს რომ იმიზეზებს და ტრესტში თავის კაბინეტში ჯდომას და იქ მუშაობას ამჯობინებს შინ შექმნილ ჯოჯოხეთს!





შიქანი მგავრის პიკას...

შემოღობა მთაწმინდაზე...

ნახ. ა. კანდელაკისა



—წყალები არ არის, ღუღს ვეღარ მივუსწარი,—  
ნეტავ შენ მაინც მართლა იყო მტკვარო, ანკარა...



—ვინ მოგცათ უფლება ფასები რომ ასე მაღლა  
აგინევიათ?  
—აქ ამოსვლისას ჩვენი ფასებიც ჩვენთან ერთად  
ამაღლებენ, ბატონო!

## ლისის ვაჟი

მოვიდა ზაფხული და ამინდის ბიუროს დაუკითხავად ქალაქს ისეთი სიცხე დააფრქვია, თითქოს მზე თბილისის ცაზე შეჩერდაო. სიგრილეს მოყვარული თბილისელები დედაქალაქიდან გაიხიზნენ, საქართველოს უღამაზეს კურორტებს ესტუმრნენ.

ყალბი შეხედულებაა, თითქოს ნიანგი სიცხის დიდი მოყვარული იყოს. თბილისში დარჩენილ სხვა მრავალ მოქალაქესთან ერთად იგიც ჩრდილზე, ნიავეზე და სიგრილეზე ოცნებობს, ოცნებობს ტბაზე, რომელიც აქვია თბილისში...

ლისის ტბა!.. ლაქვარდოვანი, მყუდრო, თვალთათვის საამო! ვაგონილი ჰქონდა, რომ ეს ტბა ეწყობა, მშვენიერდება, თბილისელთა დასვენების ერთ დიდმნიშვნელოვან ადგილად იქცევა. ვაგონილს დაუჯერა, ესტუმრა ტბას და ამით ნიანგს არც წაუგია. სხვა სიკეთეთა შორის იგი აქ ერთ უცნაურ ამბავს წააწყდა... სახვითი ხელოვნების ისტორიაში განა ერთი შემთხვევაა, როცა ქანდაკება მხოლოდ ადამიანის სხეულის ხაწილს გამოხატავს!?!—გაიხსენეთ რამდენი პორტრეტი, რამდენი ბიუსტი არის ცნობილი

საყოველთაოდ... ჩვენ ხელებმომსხვრეული ვენერაც კი გვინახავს, მაგრამ უთავო ადამიანის ქანდაკებას არსად შეგვედრიათ, ისეთი ადამიანის ქანდაკებას, რომელსაც მხრებიანად მოცლილი საკუთარი თავი საკუთარ ფეხებთან უდევს (იხ. სურათი). ახ, ვინ იცის რას ფიქრობს ეს თავი, იქნებ ოცნებობს, რომ როგორც თავისთავი, ისე ლისის ტბის დირექტორი თავის




სიმალეზე დაინახოს!.. ჩვენცა გვაქვს იმედი.

ნიანგმა ფიქრის გასაფანტავად ნავი იქირავა. ლისის ტბაზე ცურაობას რა ჯობია! თუმცა აქაც უცნაურად გააცურეს იგი: ყოველ საათში 24 მანეთის წყალში გადაყრა არც ისე ადვილია—წარმოგიდგენიათ!? თქვენ ამ თანხით შეგიძლიათ მთელი შავი ზღვა შემოიაროთ, იმგავროვან ფოთიდან ბათუმამდე, ბათუმიდან ოდესამდე, ოდესიდან პლომუტამდე და ასე შემდეგ. ეტყობა რომ ტბის დირექციას თავის ტბაზე გადაჭარბებული შეხედულება აქვს, რომ იგი შავ ზღვაზე ძვირად უღირს...

მაგრამ ამ წვრილმანის მიუხედავად, ლისის ტბა მაინც ლამაზია. სულ მოკლე ხანში, კეთილმოწყობილ ტბაზე თბილისის ახალგაზრდობა თავის დასვენების საუკეთესო საათებს გაატარებს... და ამ ოცნებამ ნიანგსაც კეთილი სურვილები აღუძრა, ამ დროისათვის მან კომპოზიტორს სპეციალური სიმღერაც კი შეუკვთა, რომელსაც აქვე ვათავსებთ. იმედია ჩვენს ახალგაზრდობას ეს სიმღერა ლისის ტბას შეაყვარებს და ზაფხულის მცხუნვარე დღეებსაც განუგრილებს...



# როცა ზაფხულის მზე უმზერს თბილისს...



ცოცხად, ვაღის ტყეში

როცა ზაფხულის მზე უმზერს თბილისს როცა

უღრუბლო და რი-ა როცა შრი-ა-ღა ჯად-რე-ბის ჩრდი-ღი

ას-ღალ-ტყე ა-პომ-ნე-ა რი-ა უ-ფარა ჩუქ-პი-ჭებ

სი-გრი-ღი დი-ღის და რი-სს ცმა-ზე ა-რა-ა-ა!

როცა ზაფხულის მზე უმზერს თბილისს,  
როცა უღრუბლო დარია,  
როცა შრი-ა ჯად-რე-ბის ჩრდილიც  
ახდელტზე ამოშვარია, —  
ჩვენს ბიჭებს უყვარო სიგრილე დღის  
და ღიბის ტბაზე არიან!  
ვის ნაწვე ბიჭი ხალხიანს,

მისცურავს, მისხარია  
ვერდიო შეფვლა შევბ ეზიანი,  
მისე ზეირთივით წუნარია, —  
ცხად ლაქაშების ჩუმი შრიალი  
და ჩუმი წივე-პარია!  
როცა ზაფხულის მზე უმზერს თბილისს,  
როცა უღრუბლო დარია!

მუსიკა რეჟან კამიჩუაძისა  
სიტყვები იანრიო ჯაღაძის

რედაქტორი კარლო კალაძე, საკრედიტო კომისია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი,  
უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Ниваги». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 30/VI. სტამბა „ზარია ვოსტოკა“. შვ. № 15 რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 67. ტირ. 11.000. უგ04400





### ერთი შრომარღვევი

ნ. ა. ბანძელაძის

დანიაში ერთმა უმუშევარმა მუშამ ერთ დღეს მშვიდობის მომხრეთა მ. წოდებაზე 1200 ხელმოწერა შეაგროვა.

გაზეთებიდან

— ამაზე დიდი ხამუშაო დღე მე არასოდეს არა მქონია...